საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004234

„ 6 “ თებერვალი 2026 წ. ქ. თბილისი

(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I ჩიხი №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია [illegible]"

(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

(ს/ნ 231165529); იურ. მის. [redacted]

პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

[redacted] მინისტრის 2021 წლის 17 მაისის №2-676 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დასკვნა №45; 27.04.2009)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004234 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004234 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 8 გვერდი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53^2 მუხლის, 58-ე მუხლის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის, 79^3 მუხლის, 79^8 მუხლის [illegible] პირველი ნაწილის და ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის 3^1 ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: [illegible] ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნინო კირკიტაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა:

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 10 სექტემბრის №DES52500000422 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. რუისპირში განთავსებული, შპს „საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი“-ს (ს/კ 231165529) კუთვნილ ასფალტბეტონის ქარხნის ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 მაისის №2-676 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 27 აპრილის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2009 წლის 27 აპრილის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** შესაბამისად, კომპანიას არ აქვს შესრულებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ვალდებულებები. კერძოდ:

1.1. არ გააჩნია უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;

1.2. არ გააჩნია უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა;

1.3. კომპანია, 6 თვეში ერთხელ, არ ახორციელებს ნარჩენების მართვაზე დასაქმებული პერსონალის პერიოდული სწავლებას და ტესტირებას;

1.4. კომპანია, 6 თვეში ერთხელ, არ ახორციელებს მომსახურე პერსონალის პერიოდულ სწავლებას და ტესტირებას უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოსდაცვით საკითხებზე;

1.5. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით, საწარმოში არ არის განთავსებული შესაბამისი მარკირების და ფერის მქონე სათანადო რაოდენობის ჰერმეტულ სახურავიანი კონტეინერები;

1.6. საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვის (გატანა, განთავსება) მიზნით, კომპანიას არ აქვს ხელშეკრულება გაფორმებული შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციასთან;

1.7. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემდგომი მართვის (გატანა, განთავსება) მიზნით არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება დასუფთავების მუნიციპალურ სამსახურთან;

1.8. კომპანიამ, ავარიული დაღვრის შემთხვევაში, ნავთობპროდუქტის ტერიტორიაზე გავრცელების აღკვეთის მიზნით, არ უზრუნველყო დიზელის საწვავის რეზერვუარის განთავსების ტერიტორიის მყარი საფარით დაფარვა და პერიმეტრზე შემოზღუდვს მოწყობა;

1.9. საწარმოში არ არის მოწყობილი საწარმოო ჩამდინარე წყლების დამატებითი სალექარი;

1.10. საწარმოს ტერიტორიაზე, შესაბამის უბნებზე არ არის განთავსებული დაღვრის საწინააღმდეგო ნაკრები;

1.11. კომპანია, რისკების შესაბამისი მართვის მიზნით, რეგულარულად არ ატარებს რისკის შეფასებას მოსახლეობისათვის კონკრეტული რისკ-ფაქტორების დასადგენად;

1.12. საწარმოს მომსახურე პერსონალისთვის არ არის უზრუნველყოფილი საყოფაცხოვრებო სათავსები და საჭირო ინვენტარ-მოწყობილობები, მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით;

1.13. მომსახურე პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;

1.14. კომპანია არ უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის წინასწარ და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას;

1.15. ავტოსადგომის ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე კანალიზაციის სისტემა და ლოკალური გამწმენდი ნაგებობა;

1.16. კომპანიას არ გააჩნდა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა;

1.17. ინსპექტირებით დადგინდა, რომ ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარში დაგროვილი წყალი ვერ ასწრებს სრულყოფილად დალექვას/გაწმენდას და დაბინძურებული წყალი პერიოდულად ჩაედინება ზედაპირული წყლის ობიექტში - მდ. თურდოს კალაპოტში.

2. 2009 წლის 27 აპრილის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-2 **პირობის** შესრულების მიზნით, კომპანია კვარტალში ერთხელ არ ახორციელებს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგს, არაორგანული მტვრის კონცენტრაციის, ხმაურის, ჩამდინარე წყლების და ზედაპირული წყლის ობიექტების ხარისხის კონტროლის მიზნით;

3. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოში განხორციელებულია **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფაქტი.** კერძოდ:

3.1. შპს „საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი"-ს მიერ, ასფალტბეტონის წარმოებისათვის გზშ ანგარიშით განკუთვნილი „DC-117-2K"- მარკის წარმოების სტაციონარული ასფალტბეტონის ქარხნის ნაცვლად მოწყობილია „MARINI"-ს მარკის ქარხანა;

3.2. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის კვანძი, რომელიც არ არის გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. ასევე არ გააჩნია აღნიშნულ საამქროზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში";

3.3. დადგინდა, რომ კომპანიის კუთვნილი 2 (ორი) ერთეული სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარიდან ერთი განთავსებულია **53.11.45.236 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.**

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53^2 მუხლის, 77-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის პირველი ნაწილის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილისა და 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №095496 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 13 ნოემბრის №4/392-25 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53^2 მუხლით, 77-ე მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლის პირველი ნაწილით, 79^7 მუხლის პირველი ნაწილით და 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 6 თებერვლის №004234 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 6 თებერვლის №004234 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი“-ს (ს/კ 231165529) კუთვნილ ასფალტბეტონის ქარხნის ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 მაისის №2-676 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 27 აპრილის ეკოლოგიური ექსპერტიზის №45 დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (2009 წლის 27 აპრილის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-7 პირობა).** შემდგომში, უზრუნველყოს შეთანხმებული ავარიული სიტუაციების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (2009 წლის 27 აპრილის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-7 პირობა). შემდგომში ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;**

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ** განახორციელოს ნარჩენების მართვაზე დასაქმებული პერსონალის სწავლება და ტესტირება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ** განახორციელოს მომსახურე პერსონალის სწავლება და ტესტირება უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვით საკითხებზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** ჩაატაროს საწარმოს მომსახურე პერსონალის საყოფაცხოვრებო სათავსების სარემონტო სამუშაოები და უზრუნველყოს საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით აღჭურვა, მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, მომსახურე პერსონალის აღჭურვა სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **1 (ერთი) თვის ვადაში ჩაატაროს** და შემდგომ რეგულარულად განახორციელოს ადგილებზე რისკის შეფასება, მოსახლეობისათვის კონკრეტული რისკ-ფაქტორების დასადგენად, ასეთი რისკების შესაბამისი მართვის მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ჩაატაროს, ხოლო** შემდგომ პერიოდულად განახორციელოს, მომსახურე პერსონალის წინასწარი სამედიცინო შემოწმება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოში შესაბამისი მარკირების და ფერის მქონე სათანადო რაოდენობის ჰერმეტულ სახურავიანი კონტეინერების განთავსება, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით;

10. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვის (გატანა, განთავსება) მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციასთან;

11. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემდგომი მართვის (გატანა, განთავსება) მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება მუნიციპალურ სამსახურთან;

12. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, დიზელის საწვავის რეზერვუარის განთავსების ტერიტორიის მყარი საფარით დაფარვა და პერიმეტრზე შემოზღუდვის მოწყობა, ავარიული დაღვრის შემთხვევაში ნავთობპროდუქტის ტერიტორიაზე გავრცელების აღკვეთის მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

13. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოო ჩამდინარე წყლებისათვის განკუთვნილი დამატებითი სალექარის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

14. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** საწარმოს ტერიტორიაზე შესაფერის ადგილებში განათავსოს დაღვრის საწინააღმდეგო ნაკრები;

15. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ავტოსადგომის ტერიტორიაზე, სანიაღვრე კანალიზაციის სისტემის და ლოკალური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (2009 წლის 27 აპრილის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-3 პირობა).** ამასთან, გამწენდი ნაგებობის მოწყობამდე, მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი სკრინინგის განცხადებით. ამასთან, ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არ დაუშვას** ავტოსადგომის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლებით გარემოს დაბინძურება;

16. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა (2009 წლის 27 აპრილის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-7 პირობა);**

17. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **კვარტალში ერთხელ** განახორციელოს, გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი, არაორგანული მტვრის კონცენტრაციის და ხმაურის მონიტორინგი და ჩამდინარე წყლების და ზედაპირული წყლის ობიექტების ხარისხის

კონტროლი, ხოლო ატმოსფერულ ჰაერში და ჩამდინარე წყლებში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის გადაჭარბების შემთხვევაში, ან ხმაურის გავრცელების დონის მომატებისას გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები (2009 წლის 27 აპრილის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-2 პირობა);**

18. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ აღკვეთოს და შემდგომ არ დაუშვას საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე** წყლის ჩაშვება მდ. თურდოს კალაპოტში. ამასთან, ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ში **ნებისმიერი წყალჩაშვება უნდა განხორციელდეს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი"-ს შესაბამისად.** ამ მიზნით, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი". შემდგომში უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;

19. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ადგილზე განხორციელებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება **(იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის მე-3 პუნქტი), შპს „საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი" ვალდებულია** ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

20. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობით აკრძალულ ტერიტორიაზე, „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 და მე-9 მუხლის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **გეზღუდებათ საქმიანობის განხორციელების უფლება 53.11.45.236 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.**